საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/177 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ი. გოგალაძის ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ირმა გოგალაძე 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
ირმა გოგალაძის ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 27 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ირმა გოგალაძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ირმა გოგალაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. იგი 2007-2019 წლებში მუშაობდა ხაშურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

ირმა გოგალაძე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ირმა გოგალაძემ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები და წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ირმა გოგალაძეს გაესაუბრნენ 9 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა შეაფასა კანდიდატი ირმა გოგალაძე კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ირმა გოგალაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ირმა გოგალაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1252 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 83.47%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 13-მა წევრმა მიიღო, ირმა გოგალაძემ მოიპოვა 12 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა 7 კანდიდატი, მათგან 1 მოქმედი მოსამართლე, 3 ყოფილი მოსამართლე და 3 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. გოგალაძე ირმა - 12 ხმა
2. ზვიადაძე გიორგი - 0 ხმა
3. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
4. რამიშვილი ზაზა - 0 ხმა
5. ხაბალაშვილი ნინო - 0 ხმა
6. ჯავახიშვილი მაია - 0 ხმა
7. ჯვარშეიშვილი მაია - 0 ხმა

1 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ირმა გოგალაძის კეთილსინდისიერების (საბჭოს შემფასებელმა 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, სამართლის ნორმების ცოდნის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 6 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა ირმა გოგალაძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი